ბაბილინა ლომინაძე. საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა, გამოსაცემად მოამზადეს ე. ბუბულაშვილმა და დ. მელიქიშვილმა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 2010, 188 გვ. და დანართი: რუკა №1, რუკა №2.

დასახელებული წიგნის ავტორი, ისტორიის დოქტორი ბაბილინა ლომინაძე (1920-1997), საქართველოს საეკლესიო წარსულის აღიარებული და დამსახურებული მკვლევარია. იგი აღნიშნული დარგის ფუნდამენტურ საკითხებს პოზიტიური და მიუკერძოებელი მეცნიერის თვალით იკვლევდა, იმის მიუხედავად, რომ მას ცხოვრება და მოღვაწეობა კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის მმართველობის პირობებში მოუხდა. წინამდებარე სტრიქონების ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა და შემთხვევაც (საქართველოს საპატრიარქოში მუშაობის დროს), შეხვედროდა ქ-ნ ბაბილინას და უშუალოდ მისგან შეეტყო, თუ როგორ და რა გზით ხერხდებოდა მაშინ, იმ რეაქციის წლებში, აკადემიური გამოკვლევების ჩატარება ეკლესიოლოგიასთან დაკავშირებულ თემებზეც კი. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პიროვნებას, მის განსწავლულობას და კულტურულ ელიტაზე მის დიდ გავლენას ასახელებდა; აღიარებდა იმ რჩევა-დარიგებების მნიშვნელობას, რომელიც ხანდაზმულ მეცნიერსა და სასულიერო პირს მისთვის, ახალგაზრდა მკვლევრისათვის, მიუცია. გავითვალიწინოთ, რომ კალისტრატე ცინცაძის სამეცნიერო ინტერესების ფართო სპექტრში ის თემატიკაც შემოდიოდა, რაც განსახილველი წიგნის მაგისტრალურ ხაზს წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ხელნაწერი ნაშრომი სათაურით "Грузинская церковь как феодал, помещик и капиталист" (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ცინცაძე 127), რომელიც დოკუმენტების მდიდარ კრებულად წარმოგვიდგება და რომლის სრულყოფილი ანალიზი მომავლის საქმეა.

ქ-ნ ბაბილინა ლომინაძის ნაშრომების ბიბლიოგრაფიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მისი კვლევა-ძიების ვექტორიც უპირატესად ძველი საქართველოს ეკლესია-მონასტრების ეკონომიური და სოციალური სისტემის შესწავლისკენაა მიმართული. მან დეტალურად გამოიკვლია გელათის, შიომღვიმის, დავით გარეჯის, ბიჭვინთისა და სხვათა ისტორია და სამიწათმოქმედო მფლობელობა. კვლევის შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიაში „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები", რომლის მხოლოდ პირველი ტომი გამოიცა (თბილისი, 1966). შემდეგი ტომის გამოცემა, როგორც ჩანს, ვეღარ მოხერხდა. წინამდებარე ნაშრომიც ავტორს გამოუცემელი დარჩა. ამიტომაც იმსახურებენ მადლობის სიტყვებს ძველი ქარ-

თული ფილოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევრები, პროფესორები დამანა მელიქიშვილი და ელდარ ბუბულაშვილი, რომლებმაც თავს იდეს ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებისა და გამოცემის საქმე, რის შედეგად სპეციალისტებს და მკითხველთა ფართო წრეს დღეს შესაძლებლობა აქვს, ღრმად ჩაიხედოს მცხეთის საკათალიკოსო საყდრის ისტორიაში ზემოთ ნაჩვენები მიმართულებით.

თამამად და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ წინაშეა მაღალაკადემიურ დონეზე შესრულებული წყაროთმცოდნეობითი ხასიათის მონოგრაფია. აქ გაერთიანებული და გაანალიზებულია ყველა პირველხარისხოვანი დოკუმენტი, როგორც დაბეჭდილი და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართული, ისე ხელნაწერი და, მაშასადამე, ფართო საზოგადოებრიობისათვის ძნელად ხელმისაწვდომი.

ავტორი აღიარებს საქართველოს გაერთიანებამდელი პერიოდის დოკუმენტური მასალის სიმწირეს და ამ გარემოებას ასახელებს იმის მიზეზად, რომ მცხეთის საპატრიარქო საყდრის, სვეტიცხოვლის, მიწათმფლობელობის ანუ „მემამულეობის“ დოკუმენტური ისტორიის წარმოჩენა მხოლოდ XI ს-ის პირველი ნახევრიდან ძალგვიძს. ასე თარიღდება სვეტიცხოვლის განახლებული ტაძრის წარწერები და განმაახლებელი კათალიკოსის ანდერძი. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მცხეთის სახლი“ XI ს-ში „საკმაო შეძლების სენიორიას წარმოადგენდა“; იგი ფლობდა და განაგებდა 135 სოფელს, 4 მონასტერს და ცალკეულ გლეხებს სხვადასხვა ადგილიდან (გვ. 11). სურათი, რომელიც გამოკვლევის კითხვის დროს წარმოგვიდგება, ამსხვრევს ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომლის თანახმად თითქოს საქართველოში სასულიერო და საერო უწყებებს შორის მუდამ თანხმობა სუფევდა. მკვლევარი აღნიშნავს: XIII ს-ის ეკონომიკური კრიზისის დროს „მთავრობამ საეკლესიო მიწების გამოყენებას და გაღატაკებული მოსახლეობისათვის მათ გადაცემას მიჰყო ხელი (...) დაიწყო შეწირული მამულების გამოწირვა (...). ამ გზით მამულები, ცხადია, მცხეთის სახლსაც დააკლდა ისე, როგორც საეპისკოპოსოებს, საყდრებს და მონასტრებს“ (გვ. 12). აქ ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ფაქტი: „შეწირული მამულების წართმევა“ და ისიც თავად შემწირველისა თუ მისი მემკვიდრის მიერ, რაც ერთი შეხედვით უცნაურია, თუმცა, როგორც ჩანს, ეს მაშინ იშვიათობა არ ყოფილა.

რეალური ისტორია, ამ ნაშრომით წარმოჩენილი, ასეთია: მცხეთის საყდარს მამულები და ყმა-გლეხები გზადაგზა კიდეც ემატებოდა და კიდეც აკლდებოდა. აღნიშნული კრიზისიდან იგი მეფე ალექსანდრეს I-ს (1412-1442) გამოუყვანია: მას მისთვის „სამეფო მონასტრებიც“ კი გადაუცია (დავით გარეჯა, დოდორქა, ვარძია, ვაკური, ჯვარი და

ვირში) თავ-თავიანთი სოფლებითა და მამულებით. ამიტომაა, ასკვნის ავტორი, რომ XV ს-ის შუა წლებში მცხეთის სახლი საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციად გამოიყურება: 73 სოფელი, ორი ციხე, 9 მონასტერი და ეს ავლა-დიდება იმავე საუკუნის მეორე ნახევარში უფრო გაზრდილა. ამ დროს მის განკარგულებაში თურმე 106 სოფელი აღმოჩნდა (გვ. 13-14). მკითხველთა ყურადღებას უსათუოდ დაიმსახურებს ისეთი ფაქტებიც, რომელთა თანახმად სვეტიცხოვლის განახლება-გამშვენებისათვის მუსლიმი მეფეებიც ზრუნავდნენ. დაქცეული გუმბათი, მაგალითად, 1656 წელს როსტომ ხანს აღუდგენია. ასევე ვრჩებით გაკვირვებული, როდესაც ვგებულობთ, რომ საპატრიარქო სახლისა და ტაძრის ეკონომიკური დაღმავლობა არა მუსლიმ, არამედ ქრისტიან მეფეთა მმართველობის ჟამს დაიწყო. XVIII ს-ის პირველ ნახევარში, ხელისუფლების მთლიანად ქრისტიანთა ხელში გადასვლის პირობებში, საკათალიკოსო სოფლების რიცხვი 25-მდე, შემდეგში კი 15-მდე შემცირდა. ავტორის თქმით, ამ დროს „შეწირულობანი თანდათან კლებულობს“ (გვ. 15).

გამოკვლევის ძირითადი ნაწილი ეხება იმ ორ ინსტიტუტს, რომლებიც მცხეთის სენიორიის არსებით და სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენენ. ესენია: 1. საკათალიკოსო საყდრის სამეურნეო სისტემა (მცხეთისშვილობა) და 2. სამწირველო და საწინამძღვრო ანუ შეწირულობათა სახეები.

1. ლაპარაკია აღნიშნული სენიორიის იმ ყმა-აზნაურებზე, რომლებიც წყაროებში მოხსენიებულნი არიან სხვადასხვანაირად: მცხეთისშვილები, „მცხეთის საყდრის შვილნი“, „მცხეთიონი“, „მცხეთელნი აზნაურიშვილნი“. მათი მოვალეობაა მცხეთის მამულების მართვა. აღსანიშნავია, რომ მამულების თაობაზე ზოგჯერ დავა კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს შორისაც წარმოიშობოდა და ამ პროცესში მომრიგებლის როლს მცხეთისშვილები ასრულებდნენ. ავტორის დაკვირვებით, ისინი, კათალიკოსთან ერთად, მამულების მფლობელებიც არიან; „მათი მონაწილეობისა და თანხმობის გარეშე კათალიკოსი საქმეს ვერ გადაწყვეტდა“; „შეწირულება კათალიკოსისა და მცხეთისშვილთა სახელზე შედიოდა“; „შეწირული ყმა-მამული ეკუთვნის მცხეთის საყდარს, კათალიკოსს და მცხეთის შვილებს“. მცხეთას „მცხეთის შვილებად“ აზნაურებს ზოგჯერ მეფეები სწირავდნენ (გვ. 22). გამოკვლევაში მითითებული არ არის, თუ როდის ჩამოყალიბდა ეს ინსტიტუტი (ჩანს, წყაროთა სიმცირის გამო ეს ვერ დგინდება), მაგრამ მისი არსებობა XV ს-ში, ალექსნდრე დიდის ეპოქაში, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ მცხეთისშვილობა მემკვიდრეობითი სახელოა, – მცხეთის კარის სახელო ანუ მოხელეობა, რაც სხვადასხვა თანამდებობის შესრულება-

ში გამოიხატება: ისინი არიან მოურავები, სახლთუხუცესები, მეჯინიბეთუხუცესები, სარდლები და სხვა. ამ ინსტიტუტმა XIX ს-ის დასაწყისამდე, საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარებამდე, გასტანა. ახალ პირობებში მისი შენარჩუნება შეუძლებელი იყო, რადგან, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მის სიცოცხლისუნარიანობას მეფე განსაზღვრავდა; ახალ „მცხეთიშვილს" კათალიკოსი მეფის სანქციის გარეშე ვერ დაამტკიცებდა. ეს გასაგებიცაა: მცხეთა ხომ მეფეთა საძვალე იყო?! (გვ. 27).

2. მცხეთის საეკლესიო მიწათმფლობელობის ფორმებზე მსჯელობა უმთავრესად მე-4 თავში ვითარდება. დასტურდება ასეთი მიწათმფლობელობის ორი ფორმა: „სამწირველო" და „საწინამძღვრო", რომელთა დეფინიციას და ისტორიას წიგნში ყველაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

სამწირველო ნიშნავს დიდგვაროვანთა შენაწირ მამულებს, რის გამოც ლოცვა-ვედრებანი ან ეკლესია-მონასტრებში აღევლინება, ანდა მათ გარეთ, ეკვდერ-სამწირველოებში. ავტორი აღნიშნავს: „შეწირულობა უსასყიდლო საჩუქარს არ წარმოადგენდა. შეწირულების მიმღები ორგანიზაცია (ეკლესია-მონასტერი) ვალდებული იყო შემწირველისათვის სულის მოსახსენებელი წირვა-ლოცვა და აღაპი გაეჩინა" (გვ. 31). ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მსახურება მყარ ეკონომიურ ბაზას ანუ „საშემოსავლო ობიექტს" მოითხოვდა. ზუსტად ამ მისიას ასრულებდა მიწები, რომლებიც ეკლესიებისა თუ მონასტრებისათვის შეიწირებოდა გლეხებითა და მთელი სოფლებითაც კი. გამოკვლევაში ასეთი სურათი იკვეთება: ერთ მხარეზეა საკურთხეველი-სამსხვერპლო, მეორეზე საშემოსავლო ობიექტი, რომელთა მთლიანობა ქმნის თავისებურ სამეურნეო ორგანიზაციას. მას *სამწირველო* ეწოდება. ამდენად, *სამწირველო* ორი ნაწილისაგან შედგება: საკურთხევლისა და ყმა-მამულისაგან. არსებობს *სამწირველოს* მწირველთა დადგენის წესები, რომლებშიც საერთოა ხსენებული თანამდებობის მემკვიდრეობითობა: შვილიდან შვილზე გადასვლა. თუკი მწირველი ბერია, ამ თანამდებობას მისი გვარის წარმომადგენელი, ანდა მისი გაზრდილი ხუცესმონაზონი შეითვისებს. ასევე საყურადღებოა წესი, რომლის თანახმად, შემწირველი არის „სამწირველოს პატრონი", მაგრამ მას მხოლოდ მაშინ შეუძლია თავისი *სამწირველოსათვის* წესდების განჩინება და პირველი მწირველის დადგენა, თუ ეს მონასტერი მის საკუთრებას წარმოადგენს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ამის უფლება არა აქვს, ეს უკვე მონასტრის საქმეა (გვ. 34). მწირველი, ჩვეულებრივ, ხუცესია ანუ უსისხლო მსხვერპლის შემწირველი, მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ შემწირველი მწირველად ერისკაცს დაადგენდა,

რომელიც, მართალია, უსისხლო მსხვერპლს თვითონ ვერ შესწირავდა, მაგრამ ასეთი მსხვერპლშეწირვის ორგანიზაციას მოახდენდა და აღაპს გადაიხდიდა (ამის მაგალითია მწირველი ტოხუასძე, რომელიც მღვდლის შთამომავალია, მაგრამ მღვდელი არ არის (გვ. 35). სათანადო ანალიზის შედეგად მკვლევარი დაასკვნის: „სამწირველო მამული პირობით გადაცემულ ქონებას წარმოადგენს და არასდროს მფლობელის კერძო საკუთრებად არ ითვლება, მწირველი კი დამოკიდებული პირია“ (გვ. 37). როდესაც *სამწირველო* მონასტერთანაა დაკავშირებული (და მეტწილად ეს ასეა), ´მაშინ სამწირველო მამულის უზენაესი მფლობელი („პატრონი") მონასტერია და მას სამწირველომ საფასური (მამითნადი ან ძღვენი) უნდა გადაუხადოს (გვ. 43).

საწინამძღვრო არის ანალოგიური მიზანდასახულობის სენიორია, რომელიც ისეთ მსხვილ საეკლესიო საფეოდალოებში არსებობს, როგორებიცაა: მცხეთა, გელათი, ალავერდი, შიომღვიმე და სხვა. არქიტექტურული თვალსაზრისით *საწინამძღვრო* იგივე ეკლესიაა, მიდგმული მონასტრის მთავარ ეკლესიას, ან ამ მონასტრის გალავანში მდგომი, იშვიათად კი ცალკე, ოღონდ მონასტრის სიახლოვეს. იგი, როგორც წესი, შემწირველის საფლავზე დგას და ჩამოყალიბებულ ორგანიზაციად გვევლინება. მწირველს ამ შემთხვევაში სენიორიის მართვის ერთპიროვნული უფლება აქვს და მას უფრო ხშირად „ეკვდრის წინამძღვარს“ უწოდებენ. ეს სენიორიაც ისე იმართება, როგორც *სამწირველო*, ოღონდ მეტი ავტონომია აქვს. მის გამგებლობაში მყოფ მამულს „მამული საწინამძღვრო“, „საწინამძღვრო“ ან „საეკვდრო“ ეწოდება. ესეც გარკვეული პირობით გადაცემული ქონებაა (გვ. 44-47).

გამოკვლევის ზოგადი დასკვნა ასეთია: აქ, მცხეთაში (და სხვაგანაც), საქმე გვაქვს ტიპურ შუასაუკუნოებრივ ფეოდალურ სენიორიასთან, რომლის თანახმად მემამულე ხშირად მონასტრებსაც ფლობდა და მას წეს-განგებასაც განუჩენდა. ეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ის მოდელია, რომელიც ბიზანტიისთვის იყო დამახასიათებელი და რომელიც ეკლესიაზე სახელმწიფოს დიქტატის მუხტს მოიცავდა. ამასთან ერთად და ამასთან კავშირში დამაფიქრებელია ის ფაქტი და რეალობა, რომლის თანახმად მიწათმფლობელობის განხილული ფორმები საზოგადოების კონკრეტულმა ფორმაციამ წარმოშვა. ეს ვითარება ლოგიკურსა და კანონზომიერს ხდის ამ ფორმათა დროებითობას და წარმავალობას. ესაა ბუნების წესი, რომლის ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ნაშრომის მეხუთე თავი, – ტაბულა, რომელშიც ქრონოლოგიური რიგით, V ს-იდან 1831 წლამდე, ჩამოთვლილია მცხეთის მამულები და, მონაცემთა არსებობის შემთხვევაში, პასუხები აქვს გაცემული კითხვებს: რა ფორმით, ვისგან და

როდის შეიძინა ესა თუ ის მამული მცხეთის სვეტიცხოველმა? (გვ. 53-188). გამოკვლევას ერთვის ორი რუკა, რომლებიც ასახავს მცხეთის მიწისმფლობელობას XV-XVI სს-ში.

აღნიშნული ტაბულიდან და რუკებიდან ჩანს, რომ მცხეთის საეკლესიო სენიორია აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს მოიცავდა: მიწებს, გლეხებს, ეკლესიებს და მონასტრებს (სამეურნეო ანგარიშგების თვალსაზრისით). ჩვენ ვხედავთ, რომ საეკლესიო სენიორიის ობიექტებიდან (ეკლესიები, მონასტრები, სოფლები, ციხეები) ზოგს მთლიანად ფლობს სვეტიცხოველი, ზოგს – ნაწილობრივ. დროთა ვითარებაში იცვლებოდა როგორც მფლობელობის ფორმები (მთლიანი თუ ნაწილობრივი), ისე ობიექტების რაოდენობა. ტაბულაში არაერთგზის შევხვდებით ინფორმაციას: ესა და ეს ობიექტი ამა და ამ წლიდან „ამოირიცხა მცხეთის მამულებიდან", ამა და ამ წელს „დაუბრუნდა მცხეთას", რაც ნიშნავს: იცვლებოდა დრო და იცვლებოდა ქონებრივი მდგომარეობაც დროის ცვალებადობასთან ერთად.

ამასთანავე მკაფიოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ნაშრომში არა მარტო ისტორიკოსები, ეკონომისტები და ეკლესიოლოგები იპოვიან სიახლეს და საყურადღებო მასალას, არამედ ეთნოგრაფებიც, კერძოდ, საეკლესიო ეთნოგრაფიით დაინტერესებული ადამიანები და რელიგიათმცოდნეები. მაგალითისათვის: შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ტრადიცია ამა თუ იმ პირის მიერ ფულადი გასამრჯელოს ვინმესათვის წინასწარ მიცემისა, რათა ამ უკანასკნელს მისი სულის ცხონების პროცედურებისათვის ეხელმძღვანელა, გასული საუკუნის 70-80-იან წლებამდე აქა-იქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. მახსენდება ერთი მორწმუნე მოხუცი ქალბატონი, რომელიც ეძებდა სასურველ და სანდო პიროვნებას, რათა ჩაებარებინა სოლიდური თანხა იმ პირობით, რომ იგი მას მისი სულის საცხონებელ საშუალებებს (აღაპებსა და პანაშვიდებს) მოახმარდა. ვინც ამ თემით დაინტერესდება, იმედია, რომ ქ-ნ ბაბილინას წიგნში საგულისხმო დეტალებს შენიშნავს.

ვფიქრობთ, ამ ნაშრომში განხილული საკითხები და გამოტანილი დასკვნები აქტუალურია საქართველოს თანამედროვე ყოფისთვისაც, რადგან ეკლესიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა დღეს არანაკლებ მწვავე და დრამატული მოვლენებითაა აღბეჭდილი, ვიდრე ეს შუასაუკუნეებში იყო. პოსტსაბჭოურ საქართველოში ღრმად გაიდგა ფესვი სურვილმა, დაბრუნებოდა ეკლესიებსა და მონასტრებს ის მამულები და სხვა სახის ქონებაც (ნაწილობრივ მაინც), რაც ადრე ეკლესიებისა და მონასტრების მფლობელობაში იმყოფებოდა. „საკონსტიტუციო შეთანხმებამ" და, ზოგადად, უახლესი საქართველოს სამართლებრივმა ატმოსფერომ ეს სურვილი პრინციპში

დააკმაყოფილა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღეს უდიდესი უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრეა, თუმცა მიღწეულით არ კმაყოფილდება. როდესაც ესა თუ ის ეკლესია, მონასტერი, საეპისკოპოსო თუ საპატრიარქო რომელიღაც ავთენტური, ნარატიული თუ ფოლკლორული წყაროდან შეიტყობს, რომ ესა თუ ის ტერიტორია ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში იმ სახელწოდების უწყების საკუთრება ყოფილა, რა სახელითაც დღეს თვითონ არიან ცნობილი, იწყებენ მეცადინეობას აღნიშნული ტერიტორიების დასაკუთრებისათვის. ეს კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში პრობლემებს წარმოშობს, რაც ხშირად სკანდალსა და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადადის. ბოლო წლების ქართულმა მედიამ ამის თაობაზე არა ერთი და ორი ფაქტი გამოაქვეყნა. ამჟამად ჩვენ ხელთაა გელა მთივლიშვილის კორესპონდენცია, სოციალურ ქსელებში გავრცელებული, „ქედელის მოსახლეობა ბოდბის მონასტრის იღუმენიას წინააღმდეგ". ამ წყაროს თანახმად სოფელ ქედელის საჯარო რეესტრში თურმე ადგოლობრივ მაცხოვრებლებს ეუბნებიან: ჩვენ „გვაქვს მონასტრის მიერ წარმოდგენილი რუკა, სადაც დაფიქსირებულია, რომ ის ტერიტორია, სადაც თქვენი სახლები დგას, მონასტრის საკუთრება იყო; აქ მცხოვრებნი ეკლესიის ყმები იყვნენ... დედაოსაგან თანხმობას თუ არ მოიტანთ, მიწებს ვერ დაგირეგისტრირებთო; ქედელში ყველაფრის გაფორმება შეჩერებულია, დედაოს თანხმობის გარეშე ვერაფერს გააკეთებთო". ამის გამო ქედელის ბევრ მკვიდრს რიგი უსიამოვნებანი შეემთხვა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგალითად, ექიმი გოდერძი გორდეზიანი და მის მეუღლე, ფილოლოგი ანა, რადგან მათი სამოსახლო მონასტერმა თურმე კაფე-ბარისათვის მონიშნა. მონასტერი ჟურნალისტებსაც უპირისპირდება. კონფლიქტი ტრაგიკომიკურია. ვფიქრობთ, ასეთი ვითარების განმუხტვისათვის საჭირო და აუცილებელიცაა დოქტ. ბ. ლომინაძის გამოკვლებების და კერძოდ განხილული გამოკვლევის გათვალისწინება. იქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ საეკლესიო მიწათმფლობელობა ერთხელ და სამუდამოდ გაქვავებულ სისტემას არ წარმოადგენდა; იგი მემამულეთა ცხონებისათვის ზრუნვის საფუძველზე აღმოცენდა და გზადაგზა იცვლებოდა მემამულეთა მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. ამდენად, ეს გამოკვლევა არა მარტო მეცნიერული კუთხითაა მნიშვნელოვანი, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

ნაშრომი საქართველოს საეკლესიო ისტორიის ბევრი სადავო და ჯერაც დაუზუსტებელი საკითხის გაღრმავებულად შესწავლის სურვილს აღძრავს, რის გამოც ეს გამოცემა ჩვენი მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს. კარგი იქნებოდა, ასეთ სოლიდურ

და სასურველ გამოცემას დართვოდა გამომცემლების მომოხილვითი ხასიათის წერილი, რითაც მეტი გვეცოდინებოდა გამოცემული ტექსტის ისტორიისა და მისი ადრინდელი დაცულობის შესახებ. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სამუშაო დასრულებული და პუბლიკაციამდე მიყვანილი არ ჰქონდა; დედანიც არასასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამით უნდა აიხსნას ზოგიერთი ტექნიკური გაუმართაობა, რომელიც პუბლიკაციაში გვხვდება, თუმცა მისი რიცხვი დიდი არაა.

როდესაც საქართველოს საეკლესიო მიწათმფლობელობაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ აუვლით ისტორიის დოქტორის, აწ განსვენებული ახალგაზრდა მკვლევრის ნიკო ხუციშვილის შრომებს ამავე სფეროში. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომით „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში“ (დაიბეჭდა ორჯერ გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ) ცხადი ხდება, რომ იერუსალიმის აღნიშნულ მონასტერს, როდესაც ის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა და რეალურადაც ბერძენი ბერების ხელში იმყოფებოდა, საქართველოს თითქმის ყველა სამეფოსა და სამთავროში ჰქონდა მამულები და მეტოქი ეკლესიები. ამ გზით და ამ საშუალებით იერუსალიმის ეკლესია საქართველოში დიდძალ ქონებას ფლობდა, რის გამოც ამ ქვეყნიდან იერუსალიმში 1917 წლამდე იგზავნებოდა ფულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკმაო რაოდენობა. როგორც ქ-ნ ბაბილინა ლომინაძის, ისე ბ-ნ ნიკო ხუციშვილის ნაშრომები შეიცავენ პასუხს კითხვაზე: რამდენად მიზანშეწონილია და რეალური შუასაუკუნეების სამიწათმფლობელო სისტემის განახლებაზე ფიქრი?

ნუგზარ პაპუაშვილი

ელდარ ბუბულაშვილი. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, „ახალი ივირონი“, თბ., 2007, 347 გვ., რედაქტორები: ღვთისმეტყველების კანდ., დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია და პროფ. ედიშერ ჭელიძე.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელდარ ბუბულაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი მათთვის, რომლებსაც საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის საკითხები აინტერესებთ. იგი ავტორია არა ერთი და ორი მონოგრაფიისა თუ სტატიისა, რომლებიც მეტწილად XIX-XX სს-ის საქართველოში რელიგიასა და ეკლესიასთან დაკავშირებულ ამბებს ეძღვნება და განიხილავს. მისი კვლევა-ძიების არსებითი ნიშანი არის მდიდარი წყაროთმცოდნეობი-